ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182771409**
თარიღი: **04/10/2018**
პინი: **4450**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
**მისამართი:** შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 27 სექტემბრის #60-0118270162 წერილი (AR1622831) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ბაქარ ბოლოთაშვილის მომართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა #19 (ს.კ.: 01.14.05.007.005) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შეთანხმების ეტაპზე, მიწის ნაკვეთის მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემულ საექსპერტო დასკვნასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მოცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემულ საექსპერტო დასკვნაში (შპს „ბიოაგრო“-ს მიერ გაცემული 2018 წლის 18 აგვისტოს 22/02/18 საექსპერტო დასკვნა) მითითებული 1 ძირი კვიპაროსის (#3-D28.5სმ) იმავე მიწის ნაკვეთზე გადარგვის საკითხზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლის და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ წესის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა, მასზე მშენებარე შენობასა და ხეს შორის არსებული მანძილის დატანით.

აქვე გაცნობებთ, რომ დიდტანოვანი ხე-მცენარეების (დიამეტრით 25სმ-ის ზევით) გადარგვის შემთხვევაში წარმოდგენილ მასალას უნდა დაერთოს, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული 1 ძირი კვიპაროსის (D-28.5სმ) გადარგვის საკითხზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ პირისგან (ფიზიკური/იურიდიული), რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეც.ტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხზე, აუცილებელია ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი